აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/87

22.11.2018 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის შესაბამისად ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ჩატარდეს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები (აკადემიური პერსონალისათვის)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 7 ადგილი
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 3 ადგილი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 4 ადგილი
პედაგოგიურ ფაკულტეტზე - 1 ადგილი
მედიცინის ფაკულტეტზე - 2 ადგილი
საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე - 3 ადგილი
საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე- 1 ადგილი
აგრარულ ფაკულტეტზე - 2 ადგილი
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე - 1 ადგილი

2. არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 26 დეკემბერს.

3. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 3 დეკემბრს და დასრულდეს 12 დეკემბერს . კანდიდატთა რეგისტრაცია და დოკუმენტების მიღება იწარმოებს 10^{00} საათიდან 14^{00} საათამდე.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. კანდიდატების რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

6. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები :

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

7. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

8. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტების დეკანებს.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

10. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 27 დეკემბრის 16 საათამდე.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი: პროფ. გიორგი დავითაძე

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: მიხდია ბერეკაშვილი